№ 88

კვირა, 22 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 88

კვირა, 22 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 აპრილს.

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი

აცხადებს, რომ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წელს ამ საკომერციო სასწავლებლის შემდეგ კლასებში: **უფროს მოსამზადებელსა, პირველსა და მეორე კლასებში** ახლად შემსვლელ მოსწავლეებს არ მიიღებენ ვაკანსიის უქონლობისა გამო. (6—6.—1)

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, ღ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—12)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის იმ თავადთა და აზნაურთ, რომელთაც თავად-აზნაურთა კრებაზედ ხმის უფლება აქვთ, მობრძანდნენ 29 ამა აპრილს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობის საქმე, სარევიზიო კომისიის მოხსენება თავად აზნაურთა ქონების გამგეობის მოქმედების შესახებ, ახალი დებულება თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობისა, თანამდებობის კაცთა არჩევანები, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ-წევრთა დასაფუძნებელ ფულის საქმე, დეპუტატთა საკრებულოს საქმის წარმოებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობის საქმე და ქართულ დრამატიულ საზოგადოების დავა ტფილისის გუბერ. თავად-აზნაურთა ქონების გამგეობას თან. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძლიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

აპრილის 23—29-მდის ქუთაისში

ექიმი
ნიკო ერისთავი

მიიღებს ნერვების და შინაგან (გულის, სტომაქის, ფილტვების, ნაწლავების) ავადმყოფთ.

სევერნი ნომრები. (6—106—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბებთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

ფელეტონი

წკიპურტი

მედიატორეთა სამართალი და მისი მნიშვნელობა.—„უშიშარ და უწუნარ რაინდთა“ საქციელი.—ვინც მარჯვეა, მართალიც ის არის.—„ცნ. ფურცლის“ ლიბერალი.—კვალ-დაბნეული „პროგრესისტი“ და მისი უკადრისობა.—ეს ერთიც ათასთან იყოს.—უცნაური „აპელაცია“.—უკადრისობა, უქართულობა და ულოგიკობა.—დასკვნის „გამოყვანა“.—„ბრწყინვალე ბუნდოვანება“, თუ „ბუნდოვანი ბრწყინვალება“?—საბრალმდებლო ოქმი და ჩემი „უკანასკნელი“ სიტყვა.—განაჩენი?!..

მედიატორეთა შემწეობით უთანხმოების გამორკვევა, სიმართლისა და პატივის აღდგენა ეხლა ჩვენში გახშირდა და ყოველი კაცი, რასაკვირველია, სიამოვნებით უნდა მიეგებოს ასეთს სასამართლოს და ჯეროვანი პატივისცემა გაუწიოს. სიამოვნებით უნდა მიეგებოს იმიტომ, რომ ყოველთვის უკეთესია ის მედიატორე, მოსამართლე, თუ მსაჯული, რომელიც თვით მომჩივანთა და მოდავეთაგან არის ურთიერთის თანხმობით ამორჩეული. ამ შემთხვევაში მედიატორენი ისეთნი კაცნი არიან, რომელთა პატიოსნებას, გონიერებას, მიუდგომლობ-მიუკერძველობას თვით შეძრახებულნი და შეკამათებულნი აღიარებენ და ამითი ქმნა მართლისა სამართლისა თითქოს იმ თავითვე უზრუნველ-ყოფილია. მეორე, მედიატორეთა სამართალი იგივე სამართალია იმ საზოგადოებისა, ანუ, უკეთ ვთქვათ, იმ წრისა, რომელსაც მოკამათენი ეკუთვნიან. ეჭვი არ არის, რომ მოკამათენი თავისს წრეს შორის ეცდებიან საუკეთესოთა ამორჩევას და ამითი ამ რჩეულთა აზრი თითქოს იმ წრის საზოგადო აზრია, რომელსაც რჩეულნი და მოკამათენი ეკუთვნიან. მედიატორეთა სასამართლო კიდევ იმითია კარგი, რომ იგი შეზღუდული და ხელ-ფეხ შეკრული არ არის ცხოვრების უკან ვაი-ვაგლახით მოჩანჩალე კანონ-დებულების მუხლით და განაჩენის დამადგენელ აზრს კანონის რომელისამე მუხლით დასაბუთება არა სჭირია; მოსამართლეთა რწმენას, სინიდისს უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა ფრთების გასაშლელად. ერთის სიტყვით, როგორც ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლო უკეთესია „კანონით დადგენილ“ მოსამართლეთა სასამართლოზედ, ისე მედიატორეთა სასამართლო გაცილებით სჯობია თვით ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაც-კი.

ამიტომაც არის, რომ ასეთს წესს შეტაკებულ-შეკამათებულთა განსამართლებისას ამ ბოლოს დროს დიდი გასავალი აქვს და მედიატორეთა სასამართლოს მნიშვნელობა პრაქტიკულად თანდათან იზრდება, არა-თუ ჩვენში, ევროპაშიაც-კი. ამიტომაცაა, რომ ასეთი სასამართლო უფრო ხშირია საზოგადოების საუკეთესო წევრთა შორის. ამ სასამართლოს მნიშვნელობის გაძლიერება კიდევ იმიტომ არის სასურველი და სანატრელი, რომ, იმედია, მერმისში იგი ძირიანად აღმოფხვრის მკლავითა თუ ხანჯლით მეტოქესთან გასწორების სურვილს, იმ ბარბაროსულს ჩვეულებას, რომელიც ორს ადამიანს ხელში ხმალს აღებინებს ვითომ და შეურაცხებულ პატივის აღსადგენად.

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, ამ „უშიშარ და უწუნარ რაინდთა“ საქციელი: ვთქვათ, ვინმემ საზოგადოების სასარგებლოდ შეკრებილ ფულის მიმჩქმალველი, ან გამფლანგველი გიწოდათ, ან, მდაბიურად რომ ვთქვათ, საზოგადოების ქონების ქურდი დაგიძახათ. იმის ნაცვლად, რომ ასეთი ცილის-მწამებელი თუნდა ჩვენ მიერ მოწონებულ მედიატორეთა სამართალში გამოიწვიო და მართალი დაანახვო საზოგადოებას, შენი უბრალოება და მისი ცილის-მწამებლობა ცხადჰყო, „უშიშარნი და უწუნარნი რაინდნი“ გირჩევენ: ხმალში გამოიწვიე შენის პატიოსნების შეურაცხ-მყოფელი, შენის სახელის შემბღალველი და იქ გამოჩნდება სიმართლეო. გამოჩნდება-კი? როგორ არ გამოჩნდება, როდესაც ხშირად უსაბუთოდ ცილ-მწამებელი უვნებელი ბრუნდება ბრძოლის ასპარეზიდგან და უბრალოდ ცილ-დაწამებული-კი, თუ სიცოცხლეს გადარჩა, ჰხეიბრდება და ჰსახიჩრდება მაინც. აქ სიმართლე და ჭეშმარიტება უკან მიდგება ხოლმე და ალაგი ეთმობა ხმლის ხმარებისა და დამბაჩის მიზანში სროლის სიმარჯვეს. ვინც მარჯვეა, მართალიც ის არის...

თუ ეს არ მოგწონთ, კანონით დადგენილ სამართალს მიჰმართეთო, გვეტყვიან. ბევრი ასეთი უთანხმოება აღიძვრება ხოლმე კაცთა შორის ცხოვრებაში, რომ მისი „კანონიერ სასამართლოს“ წესით გამორკვევა ხშირად მოუხერხებელიც არის და ძნელიც. ამას გარდა, ზოგჯერ თვისება დანაშაულისა, მისი ბუნება ისეთია, რომ ამ ბუნებას ალღოს უფრო შენის წრის, შენის ზნე-ჩვეულების ადამიანი აართმევს, ვიდრე ცხრა მთას იქიდგან ჩამოსული უცხო მოსამართლე, თუნდა იგი დიდად პატიოსანი, პირუთვნელი, გონიერი და კანონების ღრმად მცოდნე ადამიანიც იყოს. იმას გარდა, რომ, როგორც ვთქვით, საზოგადოდ ცხოვრება წინ უსწრებს კანონს და ყოველთვის კანონით არა ხერხდება მასთან შედარებით წინ-წასულ და გართულებულ, გასხვაფერებულ ცხოვრების დუღილში გამონასკვულ ურთიერთობის გაწესრიგება, ხშირად ამა თუ იმ საზოგადოების, ანუ წრის ზნე-ჩვეულება, მამა-პაპეულად დადგენილი ზნეობრივი საზომი არ ეთანხმება იმ დედა-აზრს, რომელზედაც კანონია დამყარებული და ამ გვარად ცხოვრება და კანონი ერთმანერთს გაურბიან.

„მედიატორეთა სამართალი არც ხვენს მტყუანს და კი არა სჯისო“, იტყვიან „კანონით დადგენილ“ სასამართლოს მომხრენი. მით უკეთესი. ცილ—დაწამებულისათვის ის-კი არ

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქართული თეატრი
ქართული დრამატიული საზოგადოება
კვირას, 29 აპრილს,
გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ 30 წლის სახსოვრად
გამართავს
საღღესასწაულო წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება:
I
პეპო
კომედ. 3 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა
მონაწ. მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.
II
გ. ნ. სუნდუკიანცის პატივსაცემლად გაიმართება
აქტი
ადგილების ფასი მომატებულია.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.
ბილეთები ისყიდება ყოველ დღე კასსაში.
გამგენი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი,
(3—უ—1)

სამკურნალო კაბინეთი
დოქტორის
ი. იაკ. გოკიელისა,
იღებს ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.
მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგან აქვს.
(100—256—39)

შემოწირულობა

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სახარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირა:

კნ. ქეთევან დიმიტრის ასულმა ბარათაშვილისამ—რვა სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთი, 40 მანეთად ღირებული.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 22 აპრილს, ნაშუადღევის 1½ საათზედ, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე აკურთხებს კუკიის სასაფლაოს სამრევლო სკოლის ახალს შენობას.

⁂ ხვალ, 23 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზედ, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დარბაზში ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება მოხდება. განსახილველად დანიშნულია: საზოგადოების 1900 წლის ანგარიში, 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საქმეები.

⁂ ფინანსთა სამინისტროს გადაუდვია 26,050 მან. წლეულს ამიერ-კავკასიაში კალიასთან საბრძოლველად.

⁂ ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობას 5,000 მან. გადაუდვია კავკასიის მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასამართათ.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, განზრახვა აქვთ ბაქოში სამთო სასწავლებელი დააარსონ. სასწავლებელში ორი განყოფილება იქმნება: სამთო და საქარხნო, რომელთაც თავის მხრივ ორ-ორი განყოფილება ექმნებათ. სწავლა 4 წელს გაგრძელდება, სასწავლებელს ხაზინა შეინახავს. ნავთის მწარმოებელთ ყოველ-წლიურად 10,000 მან. უნდა აძლიონ სასწავლებელს.

⁂ დღეს, 22 აპრილს, ტფილისის რკინის გზის სავაჟო სასწავლებლის მეექვსე კლასის მოსწავლენი მატარებლით ბაქოსა და საბუნჩაში წავლენ. მოსწავლეებმა, ზედამხედველის ბ-ნ სიმონის ხელმძღვანელობით, უნდა დაათვალიერონ ნავთის წყაროები. მოსწავლენი თითქმის ყველანი რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები არიან.

⁂ ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ მოსალაპარაკებლად სასწავლებელთა კომისიას განსაკუთრებული სხდომა ექმნება.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის აღძრულ უკმაყოფილებისა გამო ხსენებულმა საზოგადოებამ ბრიუსელიდგან გამოგზავნა ტფილისში თავისი რწმუნებული გამგეობასთან მოსალაპარაკებლად.

⁂ პარასკევს, 20 აპრილისათვის დანიშნული კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

⁂ ქალაქ ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი, საბჭოს მიერ მოწონებული და საგუბერნიო მთავრობასთან დასამტკიცებლად წარდგენილი, გარდაეცა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ინჟენერ ელექტრო-ტეხნიკოს ვ. ა. პოჟიდაევს განსახილველად. ბ-ნ პოჟიდაევს უკვე განუხილავს ეს პროექტი და აღუნიშნავს ის გარემოება, რომ ელექტრონის ტოკს ცუდი გავლენა ექმნება ტფილისის სატელეგრაფო მავთულებზედ. ხოლო პროექტით არავითარი ზომები არ არის მიღებული ზემოხსენებულ [illegible] ასაცილებლად და ამისათვის ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელია.

⁂ ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის გამგედ დანიშნულ იქმნა ცარსკოე-სელოს „ოლგას ბავშვთა თავ-შესაფარის“ დირექტორი თ. გ. პოდობა.

⁂ განზრახვა აქვთ, წლეულს ამიერ კავკასიის რკინის გზას მოუმატონ კიდევ 700 საქონლის ვაგონი და 20 პლატფორმა.

⁂ ხაშურსა და ბათუმს შორის ახლად გაყვანილ ნავთის მილს აი რამდენი ნავთი გადაუზიდია: ოქტომბერში—3,508,484 ფუთი, ნოემბერში 3,184,450 ფუთი და დეკემბერში—4,152,905 ფუთი.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა გამოაცხადა, რომ 1900 წლის 10 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ სადგურთ გარდასახადის შესახებ წესდების თანახმად, ამიერიდგან რკინის გზის სამსახურის მსურველთ, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო სამსახურის უფლება, ახლად მიღებისა, ერთის ადგილიდგან მეორეში გადაყვანისა, სამსახურიდგან გამორიცხვისა და დროებით დათხოვნის დროს მისაცემ თხოვნაზედ მარკა არ უნდა იქმნას დაკრული. ხოლო ამ საქმეთა შესახებ გარდაწყვეტილების შორის, საბუთებისა და მოწმობებისათვის 60 კაპეიკიანი მარკები უნდა იქმნას დაკრული.

⁂ რუსეთის საიმპერატორო სადოსნო საზოგადოებასთან არსებულ

არის საჭირო, რომ ცილის მწამებელი დაპატიმრებულ იქმნას, არამედ ის, რომ იმ წრემ, იმ საზოგადოებამ, რომელშიაც იგი მასთან ერთად სცხოვრობს, მისი ცილის-მწამებელი ასეთად აღიაროს, შეარცხვინოს და დაჰგმოს და ცილ-დაწამებულის პატიოსნება ამ საზოგადოების შორის აღდგენილ იქმნას. რამდენადაც ცილის-მწამებელი იქმნება შერცხვენილი, იმდენად ცილ-დაწამებულს აღუდგინდება პატიოსნება. ასეთი შერცხვენა მტყუანისა ცილის მწამებელისათვის უარესი და ცილ-დაწამებულისათვის მტყუანის დასაგმობად უკეთესი სასჯელია, თუნდა იმიტომაც, სხვათა შორის, რომ ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენ.

თუ ყოველსავე ამას გაითვალისწინებ, დამეთანხმები, მკითხველო, რომ მედიატორეთა სასამართლო სჯობია ყოველ სხვა გვარს სასამართლოს და მისი სიხშირე, მისი გაძლიერება ყველასათვის სასურველი და სანატრელი უნდა იყოს. ასე არა ჰფიქრობს „ცნობის ფურცელში“ პანოპტიკუმის გამმართველი ბ-ნი Z-ი, რომელიც გულ-უბრყვილოდ სჩივის, რომ „ჩვენს დროში სამართალი საკმაოდ რიგიანად არის დაყენებული (?) და ერთგვარად იცავს როგორც ქონებრივს ინტერესებს, ისე პიროვნებას და მაინც-კი ზოგი, რომელსაც შეურაც(ხ)ყოფს ვინმე, მის მაგიერ, რომ მიჰმართოს სასამართლოს, მიჰმართავს ხოლმე სამედიატორო სასამართლოსაო“ *). ავტორი „პანოპტიკუმ“-ისა დიდად სწუხს, რომ ჩვენში „ხშირად“ მიჰმართავენ ხოლმე მედიატორეთა სამართალს, და ამ წერილისა გამო მთელს ფელეტონში ჰგოდებს. თავისის წუხილის ვითომ დამაგალითებასაცა სცდილა, მაგრამ ჩვენ ეხლა მის აზრს არ გამოვეკიდებით. რა გაეწყობა, „კაცია და გუნებაო“, ნათქვამია. იმავე Z-ს რომ ჰკითხოთ, გსურთ თუ არა ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებაო, მაშინვე ყალხზედ შედგება და დაიძახებს: „განა ეჭვი გაქვთ, რომ მსურს, რასაკვირველია, მსურსო!“ უეჭველად ასე იტყვის „ცნობის ფურცლის“ „ლიბერალი“ და დაავიწყდება-კი თავისივე სიტყვები: „ჩვენს დროში სამართალი რიგიანად არის დაყენებულიო“. თუ ასეა, მაშ...

* *

მაგრამ დავანებოთ იმ „ლიბერალს“ ბატონს თავი და ახლა „კვალის“ მართლაც რომ კვალ დაბნეულს „პროგრესისტს“ ვაჟბატონს გავუწიოთ ანგარიში.

მთელი ეს ლაპარაკი იმან გამოიწვია, მკითხველო, რომ, როგორც უწყით, ნ. თავდგირიძემ და ნ. ჟორდანიამ ერთმანეთი მედიატორეთა სასამართლოში გამოიწვიეს, რომლის განაჩენიც უკვე დაბეჭდილი იყო ქართულს გაზეთებში. ჩვენ აქ არ შევეხებით იმას, თუ რამდენად სამართლიანი სამართალი ჰქმნეს მედიატორეებმა, რადგან სამართლის ავკარგიანობა მოსამართლეთაგან მომდინარეობს და შესაფერ მოსამართლეთა არჩევანი-კი თვით მოდავეებისაგან არის დამოკიდებული. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მართლდება ანდაზა: „როგორიც ერიო, ისეთი ბერიო“ და ბერის უვარგისობის კიჟინი-კი იგივე ერის უვარგისობის აღნიშვნა იქნება.

ეს სიტყვები ის-კი არავინ ჩამოგვართვას, ვითომ ჩვენ ამ მედიატორეთ რაიმე ბრალსა და წუნსა ვდებდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთის განზრახვისაგან! ჩვენ ამითი მხოლოდ მიზეზის აღნიშვნა გვსურს, რომლის გამოც ჩვენს უფლებად არა ვთვლით მათ მიერ დადგენილ სამართლის ავ-კარგიანობას შევეხოთ. მედიატორეთა სასამართლოს ღირსება იგიც არის, რომ „როგორიც ერიო, ისეთი ბერიო“, და ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ასეთი სასამართლო თავისს მთავარს აზრს დაჰკარგავდა. მაგრამ აქ შეიძლება ვინმე ჩვენს სიტყვებს გამოედავოს და სთქვას, რომ როგორ თუ „სამართლის ავ-კარგიანობა მოსამართლეთაგან მომდინარეობს“, მაშ კანონი აღარა ყოფილა რაღა ქვეყანაზედაო? ყოფილა და არის, მაგრამ ჩვენ აქ მედიატორეთა მიერ დადგენილი სამართალი გვაქვს და ასეთს სამართალს კი სათავედ და სარჩულად ქაღალდზედ დაწერილი კანონები-კი არ უდევს, არამედ მოსამართლეთა აზრი, შეხედულება და რწმენა. აი, ამითიც განსხვავება და უმთავრესი განსხვავებაც სწორედ ეს გახლავთ მედიატორეთა და „კანონით დადგენილ“ სასამართლოს შორის.

განვაგრძოთ სათქმელი. რა კი ამ ზნეობრივ სასამართლოს ის განსხვავებული თვისება აქვს, რომ არამც თუ იგი თვით ბრალმდებლისაგან არის ამორჩეული, არამედ ბრალდებულისაგანაც, ამიტომ მის დადგენილებას, მისს მსჯავრს ორივე მხარე ხმა-ამოუღებლად უნდა დაემორჩილოს და მისი განსაჩივრება, მის მიერ მსჯავრის დადგენის შემდეგ თავის გასამართლებლად თქმა რისამე უტიფრობად უნდა ჩამოერთვას ყველას, ვინც უნდა იყოს ეს ვაჟბატონი. არამც თუ თვით მოდავენი და მოკამათენი, ჩვენის აზრით, ის წრე და საზოგადოებაც-კი, რომელსაც მედიატორენი და მისნი ამომრჩეველნი ეკუთვნიან, სრულის პატივისცემით უნდა მოეპყრან ამ მათ მიერ დადგენილს განაჩენს. ამასა თხოულობს სიმტკიცე და ღირსება მედიატორეთა სამართალისა, ხელ-შეუხებლობა ასეთ მოსამართლეთა რწმენა-შეხედულობისა, ამას თხოულობს, სხვათა შორის, მის ამომრჩეველთა მიერ არჩეულთა პატივისცემა.

მერე ასე მოიქცა ბ-ნი ნ. ჟორდანია? ამ ვაჟბატონის უკულმართობა, მისი წაჯგ-უკუჯგობა და ხალხის გულ-უბრყვილოების ფიანდაზზედ თავისუფლად და მოურიდებლად მაღაყების გადასვლა ათასჯერ აღგვინიშნავს და ეს ერთიც იმ ათასთან იყოს.

გაზ. „ივერიამ“ და „ცნობის ფურცელმა“ იმ სახით დაჰბეჭდეს მედიატორეთა განაჩენი, როგორც იყო წარგზავნილი იგი მედიატორეთაგან. „კვალმა“-კი, ამ ნ. ჟორდანიას უკუღმართობის სათარეშო და სათითხნა ფურცელმა, მედიატორეთა განაჩენს სახე და ფერი უცვალა და თვით განაჩენში განსხვავებულის, შავის ასოებით აღბეჭდა ის ადგილები, რომელიც ბ-ნ ნ. ჟორდანიას ამართლებს, ხოლო რაც მისი გამაპირშავებელია, ის-კი, არა თუ ჩვეულებრივის ასოებით არის დატოვებული, არამედ განსაჩივრებულიც-კია საზოგადოების წინაშე თვით ნ. ჟორდანიას საპელაციო საჩივრით, რომელიც განაჩენს ბოლოში აქვს მიტმასნებული „შენიშვნად“ *). რამდენად საკადრისია ასეთი საქციელი, ამას მკითხველიც ადვილად გაითვალისწინებს, ჩვენ-კი ეს არა თუ უკადრისობად მიგვაჩნია, არამედ საზოგადოდ ბ-ნის ნ. ჟორდანიას უტიფრობის დამახასიათებლადაც.

განაჩენის მესამე მუხლში ნათქვამია:

„თუმცა ცხადათ არა სჩანს „ცნობის ფურცლის“ ანგარიშიდგან, რაში მდგომარეობს ბ. თავდგირიძის პროექტი, მაგრამ ის დასკვნა, რომელიც დაადგინა „კვალი“-ს 21 №-ში მოთავსებულ წერილის ავტორმა ამ პროექტის შესახებ, ვითომ თავდგირიძემ ილაპარაკა კრებაზე ცენზის შემცირების წინააღმდეგ, არ შეესაბამება არც მთლად მის ხელში ყოფილს მასალას საზოგადოთ, არც თვით ბ. თავდგირიძის პროექტს კერძოდ“-აო.

თუ ნ. ჟორდანიასა და თ. ნ. თავდგირიძის შორის აღძრულ დავას გაიხსენებთ, მედიატორეთა განაჩენის ამ მუხლიდგან დარწმუნდებით, რომ იმათ უმთავრესად „კვალი“ უცვნიათ დამნაშავედ. მერე როგორ მოეპყრო ნ. ჟორდანია ამ მის მიერ არჩეულთა კაცთა განაჩენს? როგორ და ისე, რომ განსხვავებულის ასოებით, შავად, კვალის მკითხველთა ყურადღების მისაქცევად დაჰბეჭდა პირველ მუხლში სიტყვები, რომ „კვალის“ წერილში არავითარი ფაქტიური მასალის გადამახინჯება არ არისო“ და მეორე მუხლში: „ბ. თავდგირიძის წერილში ციტატები სწორედ არ არის მოყვანილიო“; ამას გარდა თვით მესამე მუხლშიაც ხაზ-გასმით არის დაბეჭდილი სიტყვები „ცხადათ არა სჩანს“ და „რაში მდგომარეობს“, რათა უფრო ცხად ჰყოს, რომ ბ-ნ თავდგირიძის აზრი ბუნდოვანი იყოო. ბოლოს, ეს უკადრისობაც არ იკმარა და შემდეგი „შენიშვნა“ მიუწერა განაჩენს:

მე ჩემი მხრით მადლობას ვწირავ ბ. მედიატორეთ ამ შრომის გაწევის და საქმის დაბოლოვებისათვის. ყოველი მოკამათის კეთილ სინიდისიერება პირველ ყოვლისა იხატება იმაში(?), რომ მან მოწინააღმდეგის სიტყვები არ გადაამახინჯოს და ციტატი სწორედ მოიყვანოს. რაც შეეხება დასკვნას—ამის გამოყვანა თვითეულს თავისებურათ(დ) შეუძლია და ვერავინ მოითხოვს—უთუოდ ყველამ ერთნაირი დასკვნა გამოიყვანოსო. და აი, ბ. მედიატორ(ე)ები გადაჭრით ამბობენ, რომ „კვალს“ არავითარი გადამახინჯება ბ. თავდგირიძის სიტყვებისა არ მოუხდენია, რომ თვით ბ. თავდგირიძეს სწორედ არ მოუყვანია ციტატი და მესამედ მისი წინადადება „ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილი ისე ბუნდოვანათ(დ) ყოფილა, რომ ნათლათ(დ) არა სჩანს, რას შეიცავდა ის. ჩვენი შეცდომა მხოლოდ ის ყოფილა, რომ ამ ბუნდოვან წინადადებას გვერდი არ ავუარეთ და გავიგეთ ისე, როგორათაც ეს შეგვეძლო.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ 22 მარტისა.

*) იხ. „კვალი“ № 16.

განსაკუთრებულს კომისიას განუზრახავს ქებას ფურცლით დააჯილდოვოს, სხვათა შორის, მასწავლებელი შარაშიძე საპრემიოდ წარდგენილ საბადოსნო თხზულებისთვის.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად ყარსის გზაზე, მე-241 ვერსზედ, ქვის ზვავი ჩამოწვა ლიანდაგზედ და მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა. როგორც გვატყობინებენ, ლიანდაგი უკვე გაწმინდეს და 21 აპრილიდგან მატარებლებიც დადიან.

⁂ 19 აპრილს განსაკუთრებულს კომისიას სხდომა ჰქონდა ციციანოვის ადმართის უშიშარ ყოფის შესახებ მოსალაპარაკებლად. ინჟინერმა კოზლოვსკიმ მოახსენა კომისიას, რომ 28 აპრილიდგან ციციანოვის კლდიდგან ჩამოქცეულ იქმნა 21 საჟ. ქვა, რომლის ნაწილი 25 მანეთად გაიყიდა და კიდევ ჩამოსაქცევია 40—60 კუბ. საჟ. ქვათა. კომისიამ მიანდო ბ-ნ კოზლოვსკის შეადგინოს 18 პროფილი, თითო 5 საჟენის მანძილზედ და ამ საქმისათვის გადასდო 200 მან. მუშაობა უნდა გათავდეს 20 მაისამდის.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 19 აპრილს, ზეინკლის თანაშემწე მეხნიაშირ მამედი ვაგონის ქვეშ გასვლის დროს დაცემულა და დაშავებულა.

⁂ 21 აპრილს ტფილისის სადგურზე, სადაც ახალ ხიდს აკეთებენ, რკინის გზის საბელოსნოს ზევით, როდესაც მუშები მიწას ასწორებდნენ, ფერდობი ჩამოწვა, ერთი მუშა ქვეშ მოიტანა და ძალიან დააშავა. დაშავებული მაშინვე რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. *)

განყოფილება მეXVI. სამეცნიერო და სტატისტიკო.

ჯგუფი 1. თხზულებანი კავკასიის სასოფლო მეურნეობის შესახებ, როგორც საზოგადო კითხვებისა, ისე მეურნეობის თვითეულ დარგის შესახებ; კერძო მამულებისა და მათის მეურნეობის აღწერილობანი; კარტოგრამმები, დიაგრამმები და სხვა-და-სხვა სურათები, რომელნიც მეურნეობის ამა თუ იმ დარგს ახასიათებენ; სასტატისტიკო ციფირები და სხვა ცნობები; სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ანალიზები; ნიადაგის ანალიზები, ნიადაგის გამოკვლევანი და რუკები.

ჯგუფი 2. კავკასიის ჰავა (აღწერილობანი, გამოკვლევანი, რუკები და სხვანი). სამეტეოროლოგიო თხზულებანი და აღწერილობანი; რუკები, ცხრილები, დიაგრამმები და სხვანი, რომელნიც სამეტეოროლოგიო ცნობებს შეიცავენ.

ჯგუფი 3. პრიბორები და იარაღი სამეტეოროლოგიო გამოკვლევათათვის; საფიზიკო, საოპტიკო და საზომი პრიბორები.

ჯგუფი 4. ჰიდროგრაფია. ირრიგაცია და ჭაობების დაშრობა. სარწყავ არხების რუკები; სურათები, რომელნიც ირრიგაციასა და საირრიგაციო შენობებს ეხება; თხზულებანი. მდინარის ნაპირების გამაგრება.

ჯგუფი 5. კავკასიის ფლორა და ფაუნა. თხზულებანი, აღწერილობანი და გამოკვლევანი. კავკასიის მცენარეთა გერბარიები; მოდელები, სურათები და სხვა. სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გერბარიები. პირუტყვთა კოლექციები; კოლექციები იმ მწერებისა, რომელნიც ვნებას აყენებენ სასოფლო მეურნეობასა და ტყეს. თხზულებანი მავნე მწერთა შესახებ. მცენარეების სოკოიან და სხვა სენთა ნიმუშები; თხზულებანი ამ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა შესახებ.

ჯგუფი 6. იმ ნივთების ფოტოგრაფიული სურათები, რომელთაც ზემოდ ჩამოთვლილ განყოფილებებთან კავშირი აქვთ.

ჯგუფი 7. გამოკვლევანი სეტყვის შესახებ; სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი.

სასანიტარო საჰიგიენო ნაწილი.

ჯგუფი 1. სასკოლო ჰიგიენის ნივთები (სასკოლო სტოლები, ლამფები, სკოლის სადგომთა გეგმები და სხვანი). სასტატისტიკო ცნობები იმის შესახებ, თუ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოსწავლეთა შორის რამდენადაა გავრცელებული თვალთ ნაკლულობა; დიაგრამები. საქარხნო-სამრეწველო ჰიგიენა (სასტატ. ცხრილები, მოდელები და გეგმები მუშათა სადგომებისა და საავადმყოფო შენობებისა; ნავთისა და ქვა-ნახშირისაგან წარმომდგარი ნივთიერებანი, რომელსაც მკურნალობაში ხმარობენ).

ჯგუფი 2. მერძეობის ნაწარმოებთა (ყველისა, ერბოსი და სხვ.) საჰიგიენო ანალიზების ცხრილები; ახლად გამოგონილი პრიბორები ამ ნაწარმოებთა გამოსაკვლევად. რძისა და ყველის მიკროორგანიზმების კულტურა. კეფირი და კუმისი, ადგილობრივ დამზადებული. ქონის ანალიზის ცხრილები.

ჯგუფი 3. ღვინისა, ლუდისა, კვასისა, ხელოვნურად დამზადებულ სამკურნალო წყლების საჰიგიენო ანალიზთა ცხრილები. სასმელ და ბუნებრივად გაჩენილ სამკურნალო წყლების ანალიზები. იმ მიკრო-ორგანიზმების გაჩენა-ზრდის კოლექციები, რომელნიც ზოგიერთ გამოკვლეულ წყალთა მუდმივ ფლორას შეადგენენ.

ხორბლისა, ფქვილისა და გამხმარ პურის (სუხარი) ანალიზები; მავნე და არა მავნე ბალახების ნიმუშები; ნიმუშები აგრეთვე იმ მწერებისა, რომელნიც ამ ბალახებში სცხოვრობენ. იმ სამკურნალო მცენარეთა გერბარიები და სურათები, რომელნიც კავკასიაში ხარობენ; ის სამკურნალო თესლეული და ლითონეული, რომლებსაც მკურნალობაში ხმარობენ. ხალხში გავრცელებული სამკურნალო საშუალებანი. ჩამოთვლილ ნივთების ანალიზთა ცხრილები.

ჯგუფი 4. ტრიხინოზისა, ფინნოზისა და შინაურ პირუტყვის სხვა-და სხვა მავნე სენთა სასტატისტიკო ცნობები (სამიკროსკოპო პრეპარატები, გამოკვლევათათვის საჭირო იარაღი). სხვა-და-სხვა სენთა გაჩენა-ზრდისა და პრეპარატების კოლექციები (მიკროფოტოგრამები, სურათები).

ჯგუფი 5. სასტატისტიკო ცნობები კავკასიაში ყვავილის აცრის შედეგის შესახებ (ცხრილები, დიაგრამები); ადგილობრივ დამზადებულ ყვავილის ლიმფის ექსპონატები (ახლად გამოგონილი აპპარატები და იარაღი.) სტატისტიკური ცნობები ცოფიან ცხოველთაგან დაკბენილთა აცრის შესახებ (ცხრილები, დიაგრამები, იარაღი, პრიბორები და ფოტოგრაფიული სურათები).

ჯგუფი 6. იმ ეპიდემიურ სენთა სასტატისტიკო ცხრილები, რომელნიც კავკასიაში მძვინვარებს ხოლმე (მალიარიისა, კეთროვნებისა, კრეტინიზმისა და სხვათა); გეოგრაფიული რუკები ამის შესახებ, დიაგრამები, სურათები, ფოტოგრამები, საანატომიო და სამიკროსკოპო პრეპარატები. ადამიანისათვის მავნე მიკროორგანიზმების გაჩენა-ზრდის კოლექციები (ზოგიერთი აპპარატები, იარაღი, პრიბორები ამ მიკროორგანიზმების ბიოლოგიურად გამოკვლევი-

---

*) იხ. „ივერია“ № 87.

ადამიანს გააოცებს ამ „შენიშვნის“ არა მარტო უკადრისობა და უქართულობა, არამედ წრეს გადასული ულოგიკობაც. თურმე „რაც შეეხება დასკვნას—ამის გამოყვანა (?) თვითოეულს თავისებურათ (დ) შეუძლია და ვერავინ მოითხოვს—უთუოდ ერთ ნაირი დასკვნა გამოიყვანეო“. ბ-ნ ნ. ჟორდანიას აზრით, ერთს დღეს რომ „კვალის“ მეცნიერულს ფურცლებზედა ჰბრძანოს: ორჯელ ორი, ოთხი-კი არა, კართოფილის სანთელიაო, ვერავინ უკიჟინებს, რადგან „დასკვნის გამოყვანა თვითოეულს თავისებურად შეუძლიან“. ამას ეძახის ჩვენი უკუღმართი ვითომ-და პროგრესისტი „დასკვნის გამოყვანას“, თუმცა ეს უფრო „დასკვნის ჯანდაბასა და დოზანაში შეყვანაა“ და არა „კვალის“ ფურცლებზედ „გამოყვანა“. ერთის სიტყვით, დასკვნის „გამოყვანას“, ვიტყვით ნ ჟორდანიას ქართულით, არც საბუთი სდომებია, არც საფუძველი, უნდა აიღო „ბუნდოვანი წინადადება“, „გაიგო“ ეს „გაუგებარი“ „თავისებურად“ და მერე „დასკვნა გამოიყვანო“. თუ ყოველთვის ასე „გამოჰყავს დასკვნა“ ამ მესამე დასელების უკუღმართს დევ-გმირს, მიგვილოცნია „კვალის“ მკითხველებისათვის ამ გაზეთის ფურცლებზედ „გამოყვანილი“ დასკვნათა კითხვით დატკბობა, ჩვენ-კი ასე „თავისებურად“ „დასკვნის გამომყვანთ“, ღმერთო, გვაშორე, ღმერთო, გვაშორე, რადგან ეს ნ. ჟორდანიას მოძღვრება რომ კანონად გარდაიქცეს, მთელი ქვეყანა საგიჟეთად შეიქმნებოდა!..

⁂

დასასრულ ჩვენს „ბრწყინვალებით ბუნდოვანს და სკოლათა შემქმნელ მწერლების მჩეკავ კრიტიკოსს“ დავუბრუნდეთ და გავუზიაროთ „წკიპურტის“ მკითხველებს ის, რაც ჩიორას „სავინაობო“ წინადადებას მოჰყვა შედეგად.

გეხსომებათ, მკითხველო, ჩვენი წერილი, რომელშიაც თ. კიტა აბაშიძეს სრულს ნებას ვაძლევდით „ჩვენს ფსევდონიმს ფარდა აჰხადოს, ჩვენს ცხოვრებას, კერძოსა თუ საზოგადოს, ნესტარი გაუტაროს და ჩვენს პირადობას, რა მხრივაც ჰსურს, იმ მხრივ გაუწიოს ანგარიში“. დიაღ, ასეთი ძლიერი ფარ-ხმალი მივეცით ხელში, ეს „ყადაღა“ ავუხსენით, რადგან გაჭირვებულმა „ბრწყინვალე ბუნდოვანებამ“, რაკი თავი ველარაფრით იმართლა და თავის მიერ ბ-ნ ზურაბიშვილის შესახებ დაწერილი აბდა-უბდა თვითვე ვერ გაიგო, რომ მკითხველთათვის განემარტა, — თავის დასაძვრენად ჩიორასთან ლაპარაკი უკადრისობად ჩასთვალა.

წაიკითხეთ ჩემი „წკიპურტი“ *) და დარწმუნდებით, რომ ჩემი წინადადება თითონ ბ-ნ „ბრწყინვალე კრიტიკოსის“ უწეს უკეროდ ნასროლ სიტყვებით იყო გამოწვეული. ცოდვა აღიარებული სჯობია, ასე მეგონა, ჩემი ბუმბერაზი მოკამათე რაღაც საშინელს, მომაკვდინებელ ცოდვის ჩადენის ბრალს დამდებდა და ერთის კალმის მოსმით მიწასთან გამასწორებდა. მაგრამ ქუხილმა გადაიარა, ღრუბლები ქარმა განფანტა და, არამც თუ სეტყვა არსადა სჩანს, თურმე დედამიწაზედ ნამის წინწკალიც არსად დაცემულა.

აი, ჩვენს წინადადებას გაკვრით რა პასუხი უძღვნა ჩვენმა „ბუნდოვანმა კრიტიკოსმა“. ეს ადგილი ვრცლად ამოვწეროთ, რომ დასტკბეთ, მკითხველო, მი-ის მშვენიერებით:

„სავალალო ის არის, რომ ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი წარსულს ეკუთვნიან(?). ყოველივე ეს ჰბადებს ჩვენში მწარე უსასოებას და, რასაკვირველია, ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან ისინიც, რომელთაც ჩვენის ლიტერატურის გამდიდრებად მიაჩნიათ „ჩიორა“-თა და მსგავსთა ჩვენს ლიტერატურაში გაბატონება და ამაში ხედვენ დემოკრატიზმს ჩვენის ლიტერატურისას. „ჩიორა“-ს მწერლობა ტიპიური წარმომადგენელია უპრინციპო, უაზრო, უნიადაგო და უშინაარსო მწერლობისა, იმ მწერლობისა, რომელიც ხელობად გადაქცეულა და სამასხარო საგნად, და კიდევ უკვირთ დალოცვილებს, როცა ეუბნებიან—თქვენთან ბაასი ჩვენი საქმე არ არისო, საზოგადოებისა და მწერლობის აბუჩად აგდებააო. შეიძლება პირადად კაცი ყოველის ღირსებით შემკული იყოს, მაგრამ თუ მწერალმა მწერლობა იმ რიგში ჩააყენა(?), როგორც ეს ბ-ნმა „ჩიორა“-მ მოიქმედა, არც ერთი მწერალი, მწერლობის გულითადი პატივისმცემელი, მასთან გამობაასებას არ ისურვებს“ **).

აი, თურმე რა მოგვიქმედნია!.. ჩვენს „გამოჩენილს“ კრიტიკოსს სამი კვირა დასჭირდა, რომ ეს საბრალმდებლო ოქმი შეედგინა ჩვენთვის ამ ოქმის ძალით, თუმცა „პირადი ყოველის ღირსებით შემკობა“ დატოვებული მაქვს, მაგრამ ამასთანავე ის ბრალი მედება, რომ:

1) უპრინციპო მწერალი ვყოფილვარ.

2) მწერლობა ხელობად გარდამიქცევია (არ ვიცოდი, თუ ესეც ცოდვა იყო, უკაცრავად!).

3) იგივე მწერლობა სამასხარო საგნად გარდამიქცევია, და, დასასრულ,

4) იგივ საბრალო მწერლობა „იმ რიგში“ (?) ჩამიყენებია, „რომელი რიგიც“ არ იცის როგორ მოჰნათლოს ბუნდოვანმა ბრალმდებელმა, ხოლო თხოულობს-კი, რომ ყველა ამ დანაშაულობისათვის, „პესიმიზმის“ კანონთა კრებულის ჯეროვან მუხლების ძალით, ყოველს მწერალსა და მწერლობის პატივისმცემელს პირი აეკრას და აეკეროს და ჩემთან გამობაასება აღეკრძალოს. სასჯელიც ასეთი უნდა!.. სწორედ გითხრათ, ამ დასკვნამ ისე შემაშინა, რომ კინაღამ ჩემს „წკიპურტს“ საუკუნოდ გამოვეთხოვე ცრემლ-მორეული და სამუნჯეთში გადასაკარგავად მომზადებული. მაგრამ გამახსენდა, რომ ეს მხოლოდ ბრალმდებელის, მერე, ისიც ჩვენის „ბუნდოვანებით ბრწყინვალე კრიტიკოსის“, ბრალდება და დასკვნა იყო; გამახსენდა, რომ ვიდრე სასჯელს გარდამიწყვეტდნენ, მეც მათქმევინებენ ჩემდა გასამართლებლად ორიოდე სიტყვას; გამახსენდა ისიც, რომ სასჯელს ბრალმდებელი-კი არა, მოსამართლენი დაადგენენ და ეს მოსამართლენი-კი მკითხველი საზოგადოებაა, და გული გულის ალაგას ჩამიდგა.

აი ჩემი „უკანასკნელი“ სიტყვაც:

ბ-ნნო მოსამართლენო! ბრალმდებელმა ანუსხა ჩემნი დანაშაულობანი, მაგრამ არაფრით კი არ დაასაბუთა. საზოგადოდ, ჩვენს ბრალმდებელს ზნედა სჭირს ან ისე თქმა, რომ გულთა-მხილავიც ვერ გამოარკვევს, რის ბრძანება სწადიან, და თითონაც აღარ ესმის ხოლმე, ან ისე, რომ ნათქვამი არ დაასაბუთოს. ამისთანა ბრალდების ფასი-კი პრასა და ნიახურია. ბრალად მდებს უპრინციპობას, თითქოს ჩემი ნაწერები ხელის გულივით გადმოეშალოს თქვენთვის და დაემტკიცებინოს, რომ თითონ შვიდი ტომარა პრინციპები ჰკიდია ზურგზედ და მე-კი ერთის გულაფშუტას ოდენიც არ მომეძევება.

მეორე. რაც შეეხება მწერლობის ხელობად გარდაქცევას, ეს კი მართალია, ხელობადა მაქვს მწერლობა გარდაქცეული, რადგან აგერ თექვსმეტი წელიწადია ამითი ვცხოვრობ და ვსულდგმულობ. ამისათვის ბოდიშს ვიხდი და, იმედია, მაპატიებთ. ამას იქით ვეცდები ხელობად სხვისის პროტექციით თბილისა და რბილის ადგილების მოძებნვა გავიხადო და მწერლობა, სხვათა შორის, სათარეშოდ გარდავიქციო.

მესამე. ისიც მართალია, რომ ხანდახან ხუმრობა და მასხარობა ვიცი ხოლმე. რა ვქნა, ბუნება მაქვს აგეთი. როდესაც წავიკითხავ ხოლმე ჩვენის „გამოჩენილ კრიტიკოსის“ ნაცნობ და „ჩვენს ლიტერატურასთან დამოკიდებულების მქონე ქალის“ სიბრძნესა და როდესაც დავინახავ ხოლმე, ჩვენი „ბუნდოვანი კრიტიკოსი“ როგორ აწვენს საბრალო შიო არაგვისპირელს ლოგინზედ და ფეხ-დაუძიმებლად და ნაძალადევად „სკოლას“ აშობინებს, უნებურად მეცინება და ხუმრობის გუნებაზედ მოვდივარ. იმედია ამ ბრალსაც მომიტევებთ.

მეოთხე. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ვითომ მწერლობა რაღაც „რიგში ჩამეყენებინოს“, ეს ბრალდება სწორედ ნოე ჟორდანიასებურ „დასკვნის გამოყვანასა“ ჰგავს და ისე ბუნდოვანად არის ნათქვამი, რომ თვით მთქმელსაც არ ესმის და ვერც განმარტავს, მერწმუნეთ, ისე, როგორც თვისს მიერვე ბ ნ ზურაბიშვილის შესახებ თქმული ვერ განმარტა. ამიტომ გთხოვთ, ეს ბრალი უკანვე გაატანოთ ბ-ნს ბრალმდებელს და მე-კი დამნაშავედ, მაგრამ ბ-ნ კიტა აბაშიძისთანა კრიტიკოსებისა და ნოე ჟორდანიასთანა „მეცნიერულ დასკვნის გამომყვანთა“ ხილვა მოსმენას იძულებული, სიბრალულის ღირსად მიცნოთ და სასჯელისაგან განმათავისუფლოთ.

გულ-დადებით მოისმინეს რა ეს სიტყვები, მსაჯულნი წამოდგნენ და... მაგრამ განაჩენი შენ უკეთ გეცოდინება, მკითხველო!..

ჩიორა

---

*) „ივერია“ № 68, 25 მარტისა.

**) იხ. „ცნ. ფურც.“ 7 აპრილისა.

სათვის). სასტატისტიკო ცხრილები, კავკასიის საქარხნო სამრეწველო დაწესებულებებში მყოფ მუშათა ავადმყოფობის დიაგრამები.

(დასასრული იქმნება)

დააკვირდი

მტერი, რომელიც არ გაწუხებს, ურგებს მეგობარსა სჯობია.

* * *

უფრო ადვილია თოვლით ცეცხლი აანთო, ვიდრე სიტყვით გააქრო ალი სიყვარულისა.

შექსპირი

* * *

სიყვარული საქმეა უსაქმო კაცებისა, მაგრამ ამასთანავე უქმეა საქმიანთათვის.

ბულვერი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

შესანიშნავი მომღერალი ქალი ადელინა პატტი ამ ჟამად პარიჟშია. რამდენიმე თვე პატტი ამერიკაში იყო კონცერტების გასამართავად. პარიჟელები მოუთმენლად მოელოდნენ საყვარელ მომღერალ ქალის დაბრუნებას. დაბრუნებისავე პატტიმ ერთ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. ხალხი საოცარის აღტაცებით მიეგება არტისტქალს. კონცერტს 20,000 ფრანკი ჰქონდა შემოსავალი.

* * *

როგორც ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ გადმოგვცემს, ამას წინად ავსტრიის ქალაქ ხემნიცში გარდაიცვლილა ერთი თერძი, რომელიც ყველას უმტკიცებდა, რომ რეიხშტადტის ჰერცოგის შვილი და ნაპოლეონ პირველის შვილის-შვილი ვარო. სახელად ამ თერძს ლიუდვიგს ეძახდნენ, გვარი-კი არავინ უწყოდა. სიკვდილის უკანასკნელ დღემდე ელოდა ეს კაცი რამე ბედნიერ შემთხვევას თავისს შთამომავლობის გამოსაჩენად და ბედის გასაუმჯობესებლად. ორი თუ სამის წლის წინად ლიუდვიგთან ფიგაროს თანამშრომელი ყოფილა, რომლისათვის აი რა უთქვამს რეიხშტადტის ჰერცოგის შვილს. „მე დავიბადე 1832 წელს, მაგრამ სად: ავსტრიასა თუ გერმანიაში, ნამდვილად არ ვიცი. პატარაობისას ვურცენში თერძს მიმაბარეს. ჩემის აღზრდისათვის ამ თერძს თვე და თვე კარგი პენსია ეძლეოდა—ვისგან და საიდგან, ვერასოდეს ვერ გავიგე. რამდენისამე წლის შემდეგ ვურცენის მახლობლად დასახლდა მდიდარი მანდილოსანი. ამ მანდილოსანს ბარონნესა რიცენბერგს ეძახდნენ. ყველანი ვურცენში იმას ამბობდნენ, რომ მე ბარონესას და რეიხშტადტის ჰერცოგის შვილი ვარ. ბარონესა არავის არაფერს ეუბნებოდა ჩემს შესახებ, თუმცა შეხვედრის დროს ყოველთვის მეალერსებოდა და ძვირფას საჩუქრებს მაძლევდა. როდესაც 16 წლისა შევსრულდი, ბევრი ვეცადე სიმართლე გამეგო, მაგრამ ხელთ არავითარი საბუთი არა მქონდა და ვერაფერი გავიგე. მალე ბარონესა გარდაიცვალა და საიდუმლოება თან ჩაიტანა საფლავში. მაშინ ვურცენს თავი გავანებე და მგზავრობას შევუდექი. მთელი ოცი წლიწადი დავდიოდი ავსტრიასა და გერმანიაში, ყველგან ვცდილობდი ჩემის ჩამომავლობის გაგებას, მაგრამ ვერსად ვერაფერი გავიგე. რამდენჯერმე მინდოდა მეფესთანა და ჰერცოგებთან მოლაპარაკება, მაგრამ არსად არ მიმიღეს. 1869 წელს პარიჟში წავედი ნაპოლეონ მესამის სანახავად, მაგრამ სასახლეშიაც-კი არ შემიშვეს. რამდენისამე თვის შემდეგ წერილი მივიღე აფიცრად ნამყოფის ვიღაც კასსონისაგან, რომელიც მწერდა, რომ მახლობელი მეგობარი ვიყავი რეიხშტადტის ჰერცოგისა და ნამდვილად ვიცი, რომ თქვენ იმისი და ბარონესა რიცენბურგის შვილი ხართო. ერთი ასეთი წერილი შემდეგაც მივიღე“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აპრილი

პეტერბურგი. 20 აპრილს, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე პეტერბურგში დაბრუნდა.

ლონდონი. „Times“-ს პეკინიდგან ატყობინებენ გერმანიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იაპონიის ელჩებისაგან შემდგარ კომისიის მოხსენებას საზღაურის შესახებ. ეს მოხსენება დღეს გარდაეცემა დანარჩენს ელჩებს. მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი: „რადგანაც შეუძლებელია, რომ ჩინეთმა საკუთარის ხარჯით გაისტუმროს საზღაური 65,000,000 გირვანქა სტერლინგი, ამისათვის ამ თანხის გასასტუმრებლად შემდეგი ოთხი საშუალება-დარჩება: პირველი, ჩინეთის სესხი, სახელმწიფოთა მიერ არაუზრუნველყოფილი, რაიცა უდრის ჩინეთის სრულიად აკლებას; მეორე,—სესხი, ყველა სახელმწიფოსაგან უზრუნველ-ყოფილი; მესამე,—გამოცემა ჩინეთის ობლიგაციებისა თვითეულის სახელმწიფოსთვის, და მეოთხე,—ყოველ-წლიური შესატანი. კომისიამ დაადგინა, ეს ოთხივე საშუალება თვით მმართებლობათ წარუდგინოს გარდასაწყვეტად; თვითონ კომისია-კი იმ აზრისაა, რომ საზღაურის გარდასახდელად უნდა ისარგებლონ შემოსავლის შემდეგის ოთხის წყაროთი: 1) ზღვის ბაჟი, რომელიც უცხოელთა გამგეობის ქვეშაა; 2) დამოჭნის ტარიფის გადიდება, რომელიც 2½-დგან 3½ მილიონ ტაელის შემოსავალს იძლევა; 3) შინაგანის ბაჟის დაქვემდებარება ზღვის ბაჟის უწყებასთან, ამისი შემოსავალი იქმნება 3-დგან 10 მილიონ დოლარამდის, და 4) ბაჟის გაწერა იმ საქონელზედ, რომლისთვის აქამდის ბაჟს არ ახდევინებდნენ, სახელდობრ: ფქვილი, ბრინჯი, ყველი, შემოტანილი ტანისამოსი და აღკაზმული. ამ ოთხის წყაროსაგან, კომისიის აზრით, ყოველწლიურად შეიკრიბება 5½-დგან 15 მილიონ ტაელამდის. გარდა ამისა, კომისიამ შეიტანა კიდევ ექვსი წინადადება შემოსავლის გადიდებისა და ფულის გამოზოგების შესახებ. კომისიის წევრნი იმ აზრისანი არიან, რომ მიწის ბაჟს არ შეიძლება შევეხოთო“. ყველა ელჩი, გარდა ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის ელჩებისა, იმ აზრისაა, რომ ზღვის ბაჟს მაინცვე უნდა მოემატოს 10%. ელჩებმა გარდასცეს თავიანთ მმართებლობათ დასამტკიცებლად კომისიის მოხსენება.

პარიჟი. მინისტრთა საბჭო. ელისეის სასახლეში დელკასემ აუწყა ანგარიში პეტერბურგში გამგზავრებისა მინისტრმა სთქვა, რომ რუსეთისა და საფრანგეთის მმართებლობათა შორის სრული თანხმობა სუფევსო.

ბუხარესტი. კონსტანტინოპოლში ადმოჩენილ შავი ჭირით ავადმყოფობის გამო დანიშნულ იქმნა ათის დღის კარანტინი ბოსფოროდგან მოსულ გემებისათვის. კონსტანციასა და კონსტანტინოპოლს შორის გემების მიმოსვლა შეწყვეტილ იქმნა.

ბერლინი. სარწმუნო წყაროდგან იტყობინებიან, რომ მიქელმა თანამდებობას თავი გაანებაო. როგორც „Local Anzeiger“-ი იუწყება, მიქელის სამსახურიდგან გადადგომა შეწყნარებულ იქმნა.

ბერლინი. სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, რომ მალე სამეურნეო მინისტრი გამერშტეინი თანამდებობას თავს გაანებებსო.

ბერლინი. დეპუტატთა პალატა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ორივე პალატის დღევანდელ შეერთებულის სხდომის შემდეგ სეიმი დაიხურებაო, ამისათვის წინადადებანი განსახილველად არ იქმნებიან შეტანილნიო. პალატა თავისს თანხმობას აცხადებს და მადლობას უხდის პრეზიდენტს მისის მოღვაწეობისათვის. პრეზიდენტიც თავის მხრივ მადლობას იხდის და შესწყვეტს სხდომას „hoch“-ის ძახილით მეფის სახელზედ.

ბერლინი. იმპერატორმა დაათვალიერა დღეს ტემპელგოფის ველზედ ჯარები და შუადღისას ქალაქში დაბრუნდა. გზა და გზა ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. საღამოზედ იმპერატორი მიემგზავრება შმეცს, გესენ-ნასაუში.

ბერლინი. „National Zeitung“ სწერს, რომ მინისტრის გამერშტეინის გადადგომა უეჭველად მოსალოდნელიაო.

კაპშტადტი. წარსულს კვირას, დიდძალი ბურთა ჯარები გამოჩენილის სარდლების წინამძღოლობით გარტებისფონტენთან შეერთდნენ. ბაბინგტონი მთელის დღის განმავლობაში ებრძოდა მძლავრს პოზიციებში გამაგრებულს ბურებს და 14 აპრილს გაჭიფანტა ბურთა ჯარი. მეორე დღეს ბაბინგტონს ძლიერი ომი მოუხდა დოპფონტეინთან.

ბერლინი. საპარლამენტო წრეებში მოელიან დღეს ლანდტაგის დახურვასა და აგრეთვე მინისტრ-პრეზიდენტის ბიულოვის განმარტებას. ზოგიერთნი გაზეთნი სწერენ არხების შესახებ პროექტთან ერთად მინისტრების: მიქელის, გამერშტეინის, შენშტედტისა და გრეფელდის გადადგომის შესახებაც, მაგრამ ნამდვილი ამბავი ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ბელგრადი. ლიბერალთა დასის მეთაურებმა გადასწყვიტეს, მომავალ არჩევნების დროს ოპოზიციაში გადავიდნენ.

21 აპრილი.

ბერლინი. პრუსიის სეიმის შეერთებული სხდომა. თავმჯდომარეობს კრეხტერი. ბიულოვი კითხულობს იმპერატორის ბრძანებას სხდომის დახურვის შესახებ. ბიულოვი შემდეგს განმარტებას იძლევა: „რადგანაც მთავრობა დარწმუნდა რომ არხის პროექტის შესახებ შეთანხმება ამ ჟამად შეუძლებელია, ამისათვის მას არა სურს უმიზნო კამათობის გაგრძელებაო“. კრეხტერი სამჯერ იძახის „hoch“-ს იმპერატორის სახელზედ. სხდომა დახურულ იქმნა. ყველა მინისტრი დაესწრო, მათ შორის მიქელიც.

პრეტორია. გამოცემულ იქმნა პროკლამაცია ტრანსვაალის მოქალაქობრივ გამგეობის გავრცელების შესახებ; იოჰანესბურგსა, ბოკსბურგსა და კრიუგესდორპში საპოლიციო სამსახური მიენდო სამოქალაქო მთავრობას; ჰეიდელბერგსა და სტანდერტონში სამოქალაქო სასამართლოები არსდება.

ლონდონი. ს ღამოს დეპეშებს პეკინიდგან ატყობინებენ, რომ გენერალ-მაიორი კეტლერი 23 აპრილს პაოტინფუდგან იაპონიაში მიდისო. მისის სიტყვით გერმანიის ჯარები გაყვანილ იქმნებიან სამის კვირის განმავლობაში. ფიქრობენ, რომ ჩინელები კვლავ მთებში „დაბრუნდენო, საიდგანაც ამას წინად გაძევებულნი იქმნენ. საფრანგეთის ჯარები პაოტინფუდგან გაიყვანეს და დასტოვეს მხოლოდ რამდენიმე რაზმი რკინის გზის დასაცველად. რკინის გზის ლიანდაგზედ გერმანიის ჯარის კაცთა მოკვლის გამო საჭირო შეიქმნა მცხოვრებლები დაესაჯათ, სოფელიც გადასწვეს.

რომი. პალატა. მორინმა განაცხადა, რომ თუმცა იტალიის ხომალდნი ზომით იმდენი არ იყვნენ, რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ყოველთვის თავისი დანიშნულება სამებრ შეეძლოთ ქვეყანა მტრისაგან დაეცვათო (მოწონების ნიშნებია) მორინის პროგრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ჰქონოდა ისეთი ხომალდები, რომელიც იტალიის ეკონომიურის მდგომარეობის შესაფერისი იქმნებოდა. მთავრობის სახელით განაცხადა, რომ სონინოს წინადადებას ვღებულობთ.

ბერლინი. ფინანსთა მინისტრად იქმნება ალბათ ეხლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი რეინბაბენი, მიწად მოქმედების მინისტრად — ფოსტის მინისტრი პოდბელსკი. მინისტრთა გამოცვლას პროგრამის გამოცვლის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს გამოცვლა იმითია შესანიშნავი, რომ სამინისტრო ამიერიდგან შეიქმნება უფრო ერთგვარი და უფრო შეეფერება ბიულოვის შეხედულებას.

ბერლინი. ხმა დადის, რომ იმპერატორმა შეიწყნარა მინისტრების: მიქელისა, გამერშტეინისა და ბრეფელდის გადადგომაო.

ქ. ფოთის ორ-კლასიან სამრევლო-საეკკლესიო სკოლის სასარგებლოდ გამართული ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა.

კვირას, 8 აპრილს, ფოთის კლუბის დარბაზში ადგილობრივის სცენის მოყვარეთაგან კნ. აბაშიძის მეთაურობით გამართულ იქმნა ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა პირველად „მშვენიერი ელენეს მაძებარნი“ ა. ცაგარლისა და მეორედ „ოინბაზი“, მისივე. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ელენე კლდიაშვილი, კნიაჟნა ნინო აბაშიძე და ქ-ნი ნინო ყანჩაველისა და კაცებში თავადნი: ფალავა, ვ. აბაშიძე, ბ-ნნი ვ. გალავინი და ი. ჩაჩავა. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ხარჯის გარდა, ნაღდი შემოსავალი ჩემდამი რწმუნებულ სკოლის სასარგებლოდ დარჩა ას ცხრა მანეთი და ხუთი კაპეიკი, (109 მან. 05 კ.), რომელიც უკვე მივიღე და სკოლის ხაზინადარს ჩავაბარე. დასასრულ უგულითადესს მადლობას ვწირავ როგორც მოთავეს ამა საღამოისას კნეინა ე. აბაშიძისას, ისე ყველა იმ პირთ, რომელნიც წარმოდგენის გამართვაში მონაწილეობას იღებდნენ.

ფოთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის უფროსი მასწავლებელი ნინო მ. პარკაია.

წერილი რედაქციის მიმართ.

გულითადს მადლობას ვუცხადებ დ. ხონის მცხოვრებლებსა და აგრეთვე ყველა ჩემს ნათესავ ნაცნობებს, რომელთაც თავისის მობრძანებითა, თუ დეპეშებით პატივი მცეს და ჩემის დაუვიწყარის ქალიშვილის, ქუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის, ელისაბედის (ცუცას) უდროვოდ დაკარგვისა გამო მანუგეშეს.

თავ. ავქსენტი ფალავა

განცხადებანი

გამგეობა ტფილისის ეპარქიის სანთლის ქარხნისა აუწყებს ტფილისის მცხოვრებლებს, რომ წმინდა ცვილისაგან ჩამოსხმული სანთელი

ისყიდება

შემდეგს ადგილებში: 1) სიონის საკრებულო ტაძრის (სობორის) ეზოში; 2) ალექსანდრეს ბაღში; 3) ავლაბრის მეიდანზედ, ჯალალოვის სახლში და 4) ვოკზლის ქუჩაზედ, სახლი № 6. (3—100—3).

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შუქი“-სი

აუწყებს ბ-ნთ პაის პატრონთ, რომ კვირას, 29 აპრილს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება საგანგებო საზოგადო კრება.

შემდეგი საგნებია განსახილველი:

1. 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
2. დამტკიცება ინსტრუქციისა გამგეობისათვის.
3. საკითხი პაიების შესახებ.

(2—29—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—51)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.